ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო

ს/ს ენერგო-პრო ჯორჯია
ტ.№ 20002850
„03" 10 2023
JSC ENERGO-PRO GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 150.

ბატონო ვასილ,

სს „ენერგო-პრო ჯორჯია" გეგმავს 110 კვ ძაბვის ეგხ-ების „ჩაქვი"-სა და „ანასეული"-ს „შესვლა-გამოსვლის" მოწყობას ქვ/ს „ოზურგეთი-220"-ში.

პროექტის დანიშნულებაა რეგიონში ელექტრომომარაგების გაუმჯობესება და ელექტროგადამცემი ქსელის საიმედოობის გაზრდა. პროექტი ხორციელდება სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-სთან ერთად, გადამცემ ქსელთან მიერთების #60-7-123-27, 27.01.2023წ და #60-7-123-39, 02.02.2023წ ხელშეკრულებების საფუძველზე. ქვ/ს „ოზურგეთი-220"-ის მშენებლობას ახორციელებს სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა".

საქართველოს კანონი - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტით - 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა წარმოადგენს ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას.

საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად - „თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სააგენტოს სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე, ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე განცხადება".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს - 110 კვ ძაბვის ეგხ-ების „ჩაქვი"-სა და ე„ანასეული"-ს „შესვლა-გამოსვლის" მოწყობა ქვ/ს „ოზურგეთი-220"-ში.

დანართი:

- სკოპინგის ანგარიში - 110 კვ ძაბვის ეგხ-ების „ჩაქვი"-სა და „ანასეული"-ს „შესვლა-გამოსვლის" მოწყობა ქვ/ს „ოზურგეთი-220"-ში - ბეჭდური ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- Shp ფაილები.

პატივისცემით,

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„06" 10 2023
№ 91734

შემსრ.: ნესტან ხვედელიძე, ტელ.:577351377